ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №29
2017 წლის 18 აგვისტო

ქ. ხობი

„სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირების ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვისათვის ადგილობრივი მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №14 დადგენილების ბათილად ცნობის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60^1 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

ბათილად იქნეს ცნობილი „სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირების ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვისათვის ადგილობრივი მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ივნისის №14 დადგენილება.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2017 წლის 29 ივნისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ხობის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ედიშერ ჯობავა**